გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 137

2025 წლის 10 ოქტომბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 დეკემბრის №226 განკარგულებით დამტკიცდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა შემდეგი სახით: თავმჯდომარე მანუჩარ ლაფაჩი, კომისიის წევრები კობა ბერიანიძე, ლიანა ოქროპირიძე, გიორგი გოგშელიძე, ჯაბა იმერლიშვილი, იოსებ მუმლაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, თამარ მურალოვა, მერაბ გოხელაშვილი, მაია ბოლაშვილი, კახა ლობჟანიძე, ნანა ლოთიშვილი, გივი გინტური (სულ 13 (ცამეტი) წევრი).

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია აქტიურად მუშაობს და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

განხორციელებული ქმედებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა კომისიის 11 სხდომა (8 რიგითი კომისია, 3 რიგგარეშე). აღნიშნულ სხდომებზე კომისიის მიერ სულ განხილულ იქნა 49 საკითხი აქედან კომისიის მიერ 44 საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა, 2 საკითხზე კი მიღებულ იქნა უარყოფითი დასკვნა, 3 საკითხი კომისიამ წარმოადგინა კვარტალური სამუშაო გეგმის სახით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდაბასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში კომისიიის მიერ განხილულ იქნა 21 ინიციატივა და მოეწყო მოსახლეობასთან კონსულტაციები გორის მუნიციპალიტეტში არსებულ 17 გეოგრაფიულ ობიექტზე, (ამასთან გორის მუნიციპალიტეტის 4 გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭა დასახელება რომაული ციფრებით), რომელთა თაობაზე კომისია დებდა დასაბუთებულ დასკვნებს, განსაზღვრავდა მიზანშეწონილობას კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია ყოველ კვარტალურად ადგენდა სამუშაო გეგმას და მის შესაბამისად ისმენდა წარმოდგენილ ანგარიშებს. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირების განმარტებებსა და მოსაზრებებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლება მოვალეობების განხორციელებას.